პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მხედარი

1923
აგვისტო
14
სამშაბათი
შესან. მოვლენათა დღიური.
ცალკე კავკ. არმიის არსებ. 5 წლის თავი.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 340. ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 340.

რუსეთის წითელი არმია იშვა იმ დროს, როცა წითელი მეტეორი რევოლუციისა სასტიკად დაეჯახა ბებერ, პირქუშ აღმოსავლეთს და დაუნდობლად გადაისროლა ისტორიის უფსკრულში. რუსეთის წითელმა არმიამ, ჯერ კიდევ არწივის პატარა ბარტყმა, თანდათან გაშალა ფრთები რუსეთის თვალუწვდენ, ქაოტიურ სივრცეზე და თავისი მჟღერი ხმით თავზარი დასცა წითელ ქარტეხილში მოთარეშე, გზა აბნეულ ურდოებს. მან თავისი მფარველი ფრთა გადააფარა მთელ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებს; კავკასიის ცალკე არმია ერთი ამ ფრთებთაგანია, რომელიც მხნელად მოევლინა და თავს დარაჯად დაადგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. დღეს დიდის ზეიმით ვდღესასწაულობთ მისი არსებობის ხუთი წლის თავს და ვულოცავთ მას ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქართული მსროლელი დივიზია მხურვალე სალამს უძღვნის თავის უფროს ძმას, ც.კ. არმიას, როგორც ღირსეულ შვილს—ღირსეული მშობლისას, და ხმლის ჩამორთმევით სიტყვას აძლევს რომ ის დროშა, რომელიც მან ჩააბარა, მტკიცედ და შეუბღალავად დაიცავს, როგორც რევოლუციის ჭეშმარიტ გმირს შეჰფერის.

გაუმარჯოს კავკასიის ცალკე არმიას, გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციონურ წითელ არმიას და გაუმარჯოს მის ღირსეულ ხელმძღვანელებს.

ბრძანება

კავკასიის ცალკე არმიის ნაწილებისადმი.

№ 680

ქ. ტფილისი. 14 აგვისტო 1923 წ.

ამხანაგებო წითელ არმიელებო, კომანდირებო და სამხედრო მოსამსახურეებო! დღეს კავკასიის ცალკე არმია (წინად XI-ე) დღესასწაულობს თავისი არსებობის ხუთი წლის თავს.

ხუთი წელი, რომელიც შეღებილია რევოლუციის დაუვიწყარი შვილების სისხლით, რომელიც სავსეა წამებით, გამარჯვებებით და შეუპოვარი მზადებით ახალი ბრძოლებისათვის, გვყოფს ჩვენ იმ მომენტიდან, როდესაც რევოლუციის ცეცხლში დაიბადა მე-XI-ე წითელი არმია.

დიადი გზა, რომელიც სავსე იყო ათას გვარი დაბრკოლებებით,—კასპიის ზღვა, და კავკასიის მიუვალი მთები გვყოფს ჩვენ იმ ადგილიდან, სადაც წარმოიშვა ის, რომელმაც მიიღო რევოლუციის დამცველის ცეცხლით აღსავსე გული.

გამარჯვება თეთრგვარდიელთა სამხრეთის რაზმებზე და მათი სრული განადგურება, ძმური დახმარება ამიერ კავკასიის ჩაგრულ ხალხებისადმი, მონაწილეობის მიღება საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში და ერთა შორის შურისა და მტრობის ნაცვლად ძმური დამოკიდებულების დამყარებაში, მტკიცე გაწვრთნა სამხედრო ცოდნაში — აი რა შეადგენდა ყოველდღიურ საქმეს არმიის ცხოვრებაში.

რებს რა ინტერნაციონალის იდეიას, როგორც ანთებულ ნს, არმია ისისხლხორცებს მას. ამიერ-კავკასიის მუშათა და შეიარაღებული რაზმები ძმურად უერთდებიან მის რიგებს, ვე უფრო მიუვალი გახადონ საბჭოთა ამიერ-კავკასიის საზღვრები. ყველა ეს არის მისი სახელოვანი ისტორია, რომლითაც უფლება აქვს იამაყოს.

ჩვენი წინა მოადგილეები, რომელნიც დაიღუპნენ ასობით და ობით მტრების ტყვიებისაგან და მრავალ გვარი გაჭირვებისაგან, გმირები, რომელნიც დაეცნენ ბრძოლის ველზე რევოლუციისათვის და თქვენ ცოცხლად დარჩენილები, რომელნიც მოდით ახალი ძალებით მათ შემცვლელად, მუშები და გლეხები დიადი საბჭოთა მხარისა ხართ შემოქმედნი ამ ისტორიისა.

სახელოვანნო მებრძოლნო!

რომელნიც სდგეხართ არმიის არსებობის მეექვსე წლის საზღვარზე მტკიცე იმედით მისი ძლიერებისა და შეურყევლობისა და უყურებთ მომავალს სიხარულით, რევოლუციონური სამხედრო საბჭო გილოცავთ თქვენ ამ ხუთი წლის თავის დღესასწაულს. რევოლუციონური სამხედრო საბჭო გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ წარსული, რომელიც შთაბეჭდილია ყველა წითელი არმიელის, მანდირის და კომისარის გულში, იქნება შესავალი იმ ბრე ფურცლებისა, რომელსაც ჩასწერს არმია თავის მომავალ იაში.

ავხაროთ დროშები დაღუპულთა მოსაგონარად და როგორც ცი, რომ განვაგრძობთ მათ საქმეს, ერთხმად შევსძახოთ:

გაუმარჯოს ოქტომბრის დიდ რევოლუციას!

გაუმარჯოს მის დაურღვევ ძალას მუშათა და გლეხთა წითელ-არმიას!

ბრძანება დღესასწაულის დღეს წაკითხულ იქნას ყველა გუნდებში, ესკადრონებში, ბატარეებში და რაზმებში.

არმიის სარდალი: ა. ეგოროვი.
რევოლუციონური სამხედრო საბჭოს წევრნი:) შ. ელიავა.
) ა. მიასნიკოვი
პოლიტ-სამმართველოს უფროსი: ი. ვრაჩევი.
დრ. შტაბის უფროსი: კუზნეცოვი.

ხუთი წელი პროლეტარულ რევოლუციის სადარაჯოზე.

დღეს მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი დიდის ზეიმით და ენთუზიაზმით დღესასწაულობს თავის განმათავისუფლებელის და ერთგული დარაჯის ცალკე კავკასიის არმიის არსებობის ხუთი წლის თავს.

მხოლოდ ხუთი წელია რაც საძირკველი ჩაეყარა ცალკე კავკასიის არმიას, მაგრამ ეს მცირე ხანი ჩვენ თამამად შეგვიძლია მოვნათლოთ მთელ ეპოქად კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მრისხანე ქარად დაბერა ბებერ ევროპაზე. მან პირველმა აუწია თავის ხმაზე გამზედაობა—ისტორიის ახალი ეპოქის ფურცლების გადაშლა. მან პირველმა ვით აწყვეტილმა ვაირანმა რკინის ხელებით მოიმარჯვა მთელი თავისი ენერგია, ძალ-



ამხ. ეგოროვი.
ცალკე კავკასიის არმიის კომანდირი

ღონე და გამოიწვია დახავსებული ჩაგვრის და მონობის სამყარო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე.

თავისი გმირულ ბრძოლაში თეთრგვარდიელთა ურდოებთან და იმპერიალისტურ ოკუპანტების წინააღმდეგ პროლეტარიატმა შექმნა ერთ ერთი დიდი საუკეთესო წითელი რაზმები, რომელთა გმირულმა და ტიტანიურმა ბრძოლამ მიანიჭა მას საბოლოო გამარჯვება და განამტკიცა საბჭოების ძლიერება.

მეტად ძნელი და ნარ-ეკლიანი გზა განვლო პროლეტარულ რუსეთის ძლევამოსილ დიდმა წითელ-არმიამ. მხოლოდ მისი თავგანწირული ბრძოლით და საზღაპრო გმირობით გადარჩა საფრთხეს პროლეტარულ რევოლუცია და ოქტომბრის მონაპოვარი.

კავკასიის ცალკე წითელმა არმიამ, როგორც სახელოვანი წითელი არმიის ერთ ერთ შემადგენელ ნაწილმა ითამაშა დიდი როლი პროლეტარულ რუსეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

მეთერთმეტე არმიამ ბოლო მოუღო არა ერთ და ორ თეთრგვარდიელთა ლეგიონებს და ხელი შეუწყო მათ საბოლოო დამარცხებას.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ცალკე კავკასიის არმიის მოღვაწეობა პროლეტარულ რევოლუციის სასარგებლოდ. მთავარი დამსახურება დიდი რევოლუციის წინაშე მისი გამოიხატება მასში, რომ მან განახორციელა ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი ლოზუნგი—მცირე ერების განთავისუფლება იმპერიალიზმისა და მათი დამჩაგვრების მონობისაგან.

სწორედ ამ მხრივ დაუფასებელია ცალკე კავკასიის არმიის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში.

მან დაუმტკიცა მთელ მშრომელ მსოფლიოს რომ წითელი არმია არის შეიარაღებული ძალა, არა მარტო პროლეტარიატისა და იცავს მის ინტერესებს, არამედ ის აგრეთვე საუკეთესო მეგობარია დაჩაგრულ ერებისა და ყოველ წუთს მზად არის დაეხმაროს მათ, განმათავისუფლებელ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ამიტომაც ძვირფასია და დაუფასებელია ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხისათვის ცალკე კავკასიის არმია, რომელმაც მოაშორა მას დაშნაკ-მუსავატ-მენშევიკების ბატონობის უღელი, გადაარჩინა ანტანტის მტაცებლური კლანჭებისაგან და მიანიჭა თავისუფალი მშვიდობიანი ცხოვრება.

ცალკე კავკასიის არმიამ არამც თუ განათავისუფლა ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი სოციალ-მოღალატეების ბატონობიდან; არამედ დღემდის ის მხნე დარაჯად უდგია მის მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას და ერთგულად იცავს ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებას როგორც შინაურ კონტრ-რევოლუციისაგან, ისე იმპერიალიზმის შემოტევისაგან.

დეე! ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრონ ჩვენმა მტრებმა, რომ მომავალში გმირი ცალკე-კავკასიის არმია უფრო მტკიცედ და მხნედ იქნება ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხის ინტერესების და სამშობლოს თავისუფლების სადარაჯოზე.

გაუმარჯოს დიდ წითელ-არმიას!

გაუმარჯოს მის სახელოვან ნაწილს ცალკე კავკასიის არმიას!

ვაშა მას!

ცალკე კავკასიის არმიი ხუთი წლის თავის გამ

1918 წელს სამოქალაქო ომის ქარტეხილში დაიბადა ოქტომბრის რევოლუციის მტკიცე დამცველი, თავისუფლების ერთგული დარაჯი მშრომელი ხალხის სიამაყე წითელი არმია.

მთელი ოთხი წლის განმავლობაში, რაც ის მარჯვნივ და მარცხნივ მუშის რკინისებური ხელებით ლახვარსა სცემდა თავისუფლების მოსისხლე მტრებს, ის იჩენდა საარაკო სიგმირეს, გამძლეობის უნარს, მკვეთს გახრწნილ გონება დაკარგულ დენერალების მიერ შედგენილ არმიების წინააღმდეგ ბრძოლაში. მრავალ ფრონტებზე უკუ აქცევდა და შორს განდევნიდა საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიიდგან ამ მსოფლიო იმპერიალიზმის მოსყიდულ ნაძირალებს.

პროლეტარიატის სისხლით შეღებილი წითლად მოელვარე დროშის ქვეშ მდგომი ჯარი, ის არის ერთგული დარაჯი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარისა, ის არის სიამაყე, იმედი და სასოება საერთაშორისო მუშათა კლასისა.

არიან ჩვენში სახელოვანი წითელ არმიაში ნაწილები, რომლებიც განთქმულნი არიან თავიანთი ბრძოლის ისტორიით. პროლეტარიატის დიქტატურის დამცველთა შორის ერთ ერთი ღირსეული მოღვაწე ნაწილს ეკუთვნის ამიერ-კავკასიის ცალკე წითელი არმია (ყოფილი 11 არმია, შემდეგ ამიერ-კავკასიის განსაბჭოების შემდეგ ა. კ. წ. ა. წოდებული) მისი არსებობის ისტორიის ფურცლებში მეტი სიცხადით გამოსჭვივის სამი ეტაპი მათი მოქმედებისა, რომელიც დაკავშირებულია მის დაჩაგრულ ერების განთავისუფლებასთან. პირველი ეს არის 28 აპრილი, რომელსაც აზერბეიჯანის დღე ქალაქ ბაქოში შემოვიდა რ

თელი ჯავშნოსნები, ვით. გაზაფხულის მერცხალი. „წითელი ასტრახანი“ და „წითელი დაღესტანელი“, ეს ის დრო იყო როდესაც ბაქოს პროლეტარიატი მუსავატების ბატონობის ქვეშ სულს ღაფავდა და უკვდავების წყაროსავით მოელოდა წითელ-არწივებს.

მეორე ეს არის 1 დეკემბერი, როდესაც თავისუფლების სხივებმა ა. კ. ც. არმიის დახმარებით შეიჭრა მრავალ საუკუნეობით ტანჯულ სომხეთში.

მესამე 1921 წელი 26 თებერვალი, როდესაც თბილისში მენშევიკურ მთავრობის სასახლეზე მუხანათურ ხელების მიერ ამართული სამფეროვანი ნაციონალურ-შოვინისტური დროშა, შეიცვალა კომუნიზმის ემბლემით, პროლეტარიატის სისხლით შეღებილ წითლად მოელვარე დროშით; რომელიც დღესაც სიამაყით ფრიალებს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ა. კ. ც. არმიის მოახლოებამ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებს შთაბერა ახალი მამოძრავებელი სული. მრავალი წლეობით ჩაქრობილი პატარა ერები გრძნობდნენ მათ განთავისუფლების წამის მოახლოვებას.

სულ მცირე დროში გამართლდა მათი წინათგრძნობა ა. კ. ც. არმიის დახმარებით დამსხვრეული იქნა მუსავატ-დაშნაკ-მენშევიკების ბატონობა.

ა. კ. მუშათა კლასმა ეს წითელი არწივები გაიხადა თავის შვილობილათ და დღითი დღეობით მჭიდრო ხდებოდა მათი კავშირი. თუ რამდენად მჭიდროა ეს კავშირი, თუ როგორი ხიდია გადებული ა. კ. ც. არმიას და ა. კ. პროლეტარიატს შუა ერთხელ კიდევ ცხადად დაგვანახვებს დღევანდელი დღე.

რაც არ უნდა იყბედონ ჩვენმა მტრებმა, როგორი პროვოკაციაც არ უნდა სთესონ ხალხში, მშრომელი კლასი ამიერ კავკასიისა მაინც იტყვის მსოფლიოს გასაგონათ: „გაუმარჯოს დაჩაგრულ განმათავისუფლებელ და ოქტომბრის რევოლიუციის ერთგულ დარაჯს ა. კ. ც. არმიის წითელ-არმიელებსაო

სალამი თქვენ წითელო არწივებო მხედრის გულიდგან ამონახეთქი.

გაუმარჯოს წითელ-არმიას და მის ბელადს ამხ ტროცკის!..

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის შტაბს კომინტერნს!

წ. არ. **ერმა.**

მოკლე ისტორიული მიმოხილვა კავკასიის ცალკე არმიისა.

ცალკე კავ. არმია წარმოიშვა მე XI არმიისაგან, რომელიც დაიბადა 1918 წლის რევოლიუციის ქარტეხილში, როცა კონტრევოლიუციონური ძალები იმყოფებოდენ ორგანიზაციის პროცესში.

მე XI არმიამ იარსება მხოლოდ ერთი ზამთარი და გაზაფხული. 1918—1919 წ. ჩვენმა დამარცხებებმა კავკასიის—კასპიის ფრონტზე რომელიც უმთავრესად აიხსნებოდა მრავალგვარ ავათმყოფობით და ცენტრიდან მოშორებით, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის დაკარგვამ და ბრძოლის სიმძიმის ცენტრის გადატანამ აღმოსავლეთ ფრონტზე, გააიძულა დაგვეშალა მე XI არმია.

1919 წლის აგვისტოში ეს არმია ხელახლა სდგება 34 მსროლელ დივიზიისაგან, რომლის სამმართველო ცენტრი იმყოფება ქ. ასტრახანში. ამ დროს ბრძოლა აღმოსავლეთში არ ითხოვდა იმდენ ძალის მოკრებას, როგორიც მოგვიხდა ჩვენ 1919 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, და მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეულ იქნა სამხრეთ ფრონტისაკენ, სამხრეთ კონტრევოლიუციის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობდა გენერალი დენიკინი.

ახალი მე 11 არმია იცავდა კონტრრევოლიუციონურ — ბანდებისაგან მდინარე ვოლგას ქვემო მხარის განაპირებს (ცარიცინიდან) და კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებს.

მე 11 არმიის უახლოესი ამოცანები იყო: 1) მე 10 არმიაზე დახმარება ცარიცინის დაჭერის საქმეში, რისთვისაც ის უნდა გადასულიყო ვოლგას მარჯვენა ნაპირით ჩორნი იარიდან სარეფთისაკენ და 2) მდინარე კუმასთან მიახლოება კასპიის ზღვის სანაპიროებით გროზნოს რაიონის აჯანყებულებთან კავშირის დასაჭერად.

არც ერთი ამ ამოცანებიდან არ იყო ადვილი, ვინაიდან მოქმედება გვიხდებოდა უდაბნო, უგზო უკვლო ადგილებში, ქვიშნარში, ზამთრით, როცა აქ მძვინვარებდენ სასტიკი ყინვები და ქარიშხლები.

გზოობისა და ტრანსპორტის [illegible]ობის გამო ზურგის საქმე ვერ იყო მოწესრიგებული, და ეს მდგომარეობა ორკეცდებოდა ცენტრთან კავშირის დაჭერის სიძნელის გამო, რადგანაც ეს კავშირი უნდა დაგვეჭირა მხოლოდ რკინის გზით (სარატოვი,—კრასნი კუტ—ასტრახანი) ეს იმ დროს, როცა სათბობი მასალა ძალიან მცირედ მოგვეპოვებოდა.

ამხ. ვრაჩევი.
ცალკე კავკასიის არმიის პოლიტ სამმართველოს უფროსი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის ცარიცინის დაჭერას, რადგანაც ამით თავისუფლდებოდა აქ დაგროვილი ძალები (მომეტებული ნაწილი მე-10-ე არმიისა), რითაც გვეძლევოდა საშუალება ეს ძალები გვესარგებლებია თეთრი არმიების მარცხენა ფრთაზე მისევით, რომლებმაც ამ დროს უკვე იწყეს გადმოსვლა სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინისგზის გასწვრივ. ამასთან ცარიცინის აღება ფრონტიდან ძნელი იყო, რადგანაც ყუბანის ოლქის ნაწილები მასში მეტად გამაგრდენ და მასთან შეიარაღებული იყვნენ ყოველგვარ თანამედროვე ტეხნიკური იარაღებით და საშინელი ტანკებითაც კი. ამიტომ მე 11 არმიის ნაწილი ნოემბრის თვეში გადადის ვოლგას მარცხენა ნაპირზე—ცარიცინის აღების მიზნით.

ღამით, 1920 წლის იანვარში მე 50-ე მსროლელ დივიზიის მე—450-ე მსროლელი პოლკი გადავიდა ყინულით ვოლგას მარჯვენა ნაპირებზე და დაიკავა „ფრანგული“ ზარბაზნის ქარხანა, ცარიცინიდან ჩრდილოეთით, რის გამოც გადაწყვეტილ იქნა ქალაქის ბედი.

ამით თავდება მე 11 არმიის წარსულის პირველი გმირული საფეხური. შემდეგ იანვრის პირველი ნახევარის განმავლობაში, არმიის ნაწილები, ხვდებათ რა სუსტი წინააღმდეგობა, მიიწევენ წინ მანიჩის ტბისაკენ.

იმავე დროს არმიის მარცხენა ფრთაზე (კასპიის სანაპიროები) შექმნილი საექსპედიციო კორპუსი, უდაბურ და უწყლო მინდვრებით მიიწევს წინ მდინარე კუმისაკენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მდგომარეობა არმიისა, სადაც მოწყვეტილი იყო ერთმანეთს ეს ორი ჯგუფი მთელი ორასი ვერსის მანძილზე, გაჭიმული ფრონტი, უგზო-უკვლო, დაუდაბური ზურგი წლის უბედურ ქარბუქიან დროში, თოვლის ბერალები და სხვა—ყველაფერი ეს ჰქმნიდა აუწერელ სიძნელეს ჯარის მომარაგების საქმეში. მაგრამ ყოველგვარი დაბრკოლება ძლეულ იქნა და იანვრის ბოლო რიცხვებში. სტავროპოლის მიმართულებით დაჭერილ იქნა დივნოეს რაიონი, ხოლო ყიზლიარის მიმართულებით—მას მაგრად ეჭირა მდინარე კუმა.

არმიის უახლოესი ამოცანა იყო დაჭერა სტავროპოლ-არმავირის რაიონისა, რითაც გადაიჭრებოდა ვლადიკავკაზის რკინის გზა და გაირღვეოდა დენიკინის ფრონტი ორ ნაწილად.

თეთრები გრძნობდენ ამ გეგმის საშინელებას და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ ტამანსკის კავალერიის ბრიგადას და მე-7-ე კავალერიის დივიზიას; მაგრამ ეს წინააღმდეგობა ძლეულ იქნა, და 29 თებერვალს ავიღეთ ქ. სტავროპოლი. 4000 დენიკინელი ჩავარდა ტყვეთ, დანარჩენებმა უწესრიგოდ დაიხიეს არმავირისაკენ. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობა განთავისუფლდა თუ არა კონტრ რევოლიუციის უღლისაგან, შეადგინა მოხალისეთა რაზმები, რომლებიც მისდევდენ და ანადგურებდენ თეთრგვარდიელთა დაბნეულ ჯგუფებს, ამ რაზმებს თუმცაღა არ ჰქონიათ კავშირი მე 11 არმიასთან და მოკლებულნი იყვნენ მიზანშეწონილ ხელმძღვანელობას, მაგრამ მაინც დიდ სამსახურს გვიწევდენ.

სტავროპოლის დაჭერით მე 11 არმიის ამოცანა გაფართოებულ იქნა, მან მიიღო ბრძანება დაეჭირა ვლადიკავკაზის რკინის გზა სადგურ არმავირიდან, ნეზლობნაიას სადგურამდე, ხოლო მარცხენა ფრთაზე,—დაეკავებიათ ყიზლიარი და გადასულიყო გროზნოსაკენ. ამ ამოცანის შესრულებით მთელი რკინის გზა ჩვენს ხელში გადმოდიოდა, რაც უზრუნველყოფდა ჩრდილოეთ კავკასიის დაჭერის საქმეს.

16 და 18 მარტს მარჯვენა ფრთის ჯგუფი იჭერს არმავირსა და პიატიგორსკს და განაგრძობს წინსვლას სადგურ პროხლადნაიას რაიონში შემდეგისათვის სამოქმედოდ პეტროვსკზე, რომლის ბედიც გადაწყდა 30 მარტს, როცა გროზნოს რაიონში ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს შეუერთდა.

თეთრებმა, მოიკრიბეს რა უკანასკნელი ძალღონე, გვიწევდენ სასტიკ წინააღმდეგობას არმავირის დაჭერისა და ჩვენი მარცხენა ჯგუფის წინსვლის დროს; მათმა ნაწილმა, რავერ გაუძლო მეთერთმეტე არმიის შეტევას — ცალკ ცალკე ჯგუფებად მიაშურა მთებს ბატალპაშინის რაიონში და საქართველოს სამხედრო გზას, ხოლო მეორემ—დაიხია პეტროვსკისაკენ, სადაც გადასხდენ გემებზე და შევიდნენ ზღვაში. პეტროვსკის დაკავების დროს, ხელთ ჩავიგდეთ 5 ჯავშნიანი მატარებელი, ნავთის საწყობები, იარაღები და სხვა მრავალი სამხედრო ქონება. მეთერთმეტე არმიის ამ მეორე ბრძოლის საფეხურის შედეგი იყო ის, რომ განადგურებულ იქნა საბჭოთა ხელის უფლების ერთერთი თვა საჩინო მტერი,— სამხრეთის კონ რევოლიუცია.

ამხ. ელიავა.
ცალკე კავკასიის არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრი.

სანამ შევუდგებოდეთ არმიის მდეგ საომარ მოქმედების აღწერა, შევჩერდები იმ მდგომარეობაზე, გორიც იყო ამ დროს მეზობელ სპუბლიკებში.

„დემოკრატიულ“ საქართველოში ძალა უფლება იყო მენშევიკების ხელში, რომლებმაც, იგრძნეს თუ არა წითელი არმიის ძლიერება ჩქარობდენ რუსეთთან ხელშეკრულობის მოხდენას და ყოველმხრივ სცდილობდნენ ეჩვენებინათ მისთვის მშვიდობიანი განწყობილება, თუმცა იმავე დროს ყოველ ღონი ბას ხმარობდენ, რათა ჩრდილ კავკასიაში შეესუსტებიათ საბჭ რუსეთის გავლენა.

7 მაისს საქართველოსთან დ[illegible]ბულ იქნა ხელშეკრულება, და ეს გვიჩვენებდა მას, რომ მშრომელთა მასები იქ კიდევ ვერ იყვნენ მომზადილი სოციალურ გადატრიალებისათვის.

სულ სხვა ფერ იყო საქმე ა ბაიჯანში, სადაც ბატონობდე სავატისტები, მაგრამ სადაც გრძნობდენ ისინი თავს მაგრ დგანაც სამრეწველო ბაქო

რ. სამხ. საბჭო ულოცავს არმიას.

ბრძანება რესპუბლიკის რ. ს ს—სი.

დღეს შესრულდა 5 წელი დღიდან კავკასიის ცალკე, ყოფილი მეთერთმეტე, წითელი არმიის დაარსებისა.

იშვა რა ცალკე პარტიზანულ, მუშათა და გლეხთა რაზმებიდან, რომლებიც აჯანყდენ კოლჩაკისა და დენიკინის საწინააღმდეგოდ, კავკასიის ცალკე არმიას უხდება შედგენა ასტრახანზე ლაშქრობის მძიმე პირობებში, სადაც ის მოწყვეტილი ცენტრს, განიცდის დიდ შევიწროებას სამი მხრით მტრების ურიცხვი ძალების შემოწოლისაგან.

უშუალო ცეცხლის ქვეშ გამარჯვება-დამარცხებისა, სადაც იწოვდა ყოველივე ცოცხალ ძალებს მუშებისა და გლეხებისაგან, კავკ. ცალკე არმია მაგრდება და იზრდება, რათა დენიკინის დამსხვრევისა და ყუბანის გაწმენდის შემდეგ დაიწყოს დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთისაკენ.

დიდი პატივი ხვდა წილად კავკასიის ცალკე არმიას.

მან პირველმა აანთო ჩირაღდანი მსოფლიო სოციალურ რევოლიუციისა მუსულმან მშრომელ მოსახლეობაში, გაუწოდა ძმური ხელი დაჩაგრულ ერებს, მიუტანა მათ თავისუფლება რუსეთის კონტრ-რევოლიუციისა და ევროპის იმპერიალიზმის ნაცვლად.

მან პირველმა დაამყარა მშვიდობიანობა და თავისუფალი შრომა დაღესტნის, ადერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, აჭარისტანის და აბხაზეთის მოსახლეობაში, რომლებიც მტრობდენ და ანადგურებდენ —მანამდე ერთმანეთს.

ამ ჟამად არმია იღწვის ამიერკავკავკასიის ნაციონალურ შეიარაღებულ ძალთა შედგენაზე, რათა საშვალება მისცეს აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს გახდნენ ნამდვილ ბატონ-პატრონად თავისი ქვეყნების სვებედისა.

კავკ. ც. არმიამ გაიარა დიადი საგმირო გზა ასტრახანის ველებიდან დაწყებული არარატის მწვერვალამდე, კასპიდან შავზღვამდე,—მინდვრებისა, დაღესტნის მთაგრეხილებსა და ამიერ-კავკასიის მთაველებს შორის. ბევრი საუკეთესო გმირები დაიღუპა მძიმე ომებში, ძვირად დაუჯდა ეს გამარჯვება.

ეხრით რა დროშებს დაღუპულთა მოსაგონარად, რ. სამხედრო საბჭო მოუწოდებს კ. ც. არმიის გმირებს იდგნენ ისე მაგრად და შეურყევლად რევოლიუციონურ საგუშაგოზე, როგორც იდგნენ მათი სახელოვანი თანამებრძოლნი მთელი 5 წლის გმირული ბრძოლის განმავლობაში.

დღეს, ამიერ-კავკასიის მშრომელებთან შეკავშირებით, ც. კ. ა. როგორც წინად ისე დღესაც დაანახვოს მთელ ქვეყანას მაგალითი კულტუროსნობისა და პატივით ეჭიროს წითელი დროშა აღმოსავლეთში.

რ. რ. ს. ს. ულოცავს, წითელ არმიელებს, კომანდირებს, კომისრებს და ც. კ. არმიის პოლიტ მომუშავეებს ხუთი წლის თავს.

რ. რ. ს. ს. თავმჯდომარის მოადგილე სკლიანსკი

მთავარსარდალი ს. კამენევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი წლის თავზე.

(ძღვნად ცალ. კავ. არმიას)

სუფევდა მონობა, და ოქტომბერით
ამოგუგუნდა მძლეველი ქარი,
და მარადიულ ცეცხლისა ჩქერით
გამოიქ[illegible] წითელი ჯარი!

აიწია დროშა ბრძოლის ფუნჯებით,
თავისუფლებით ანაჯანყები:
გარს შემოერტყენ მუშა ურჩები —
გაჰფანტეს შორს, შორს შიში, ჯანყები!

თავდადებულთა პაწია რაზმი
იქცნა შევსებულ სოფლით, გლეხებით;
ქალაქის ჰიმნში, აწყვეტილ თასმით
ეკვეთნენ მტრებსა განამეხებს!

მიწა იძვროდა სასტიკ ბრძოლაში
და ცეცხლის ალი ცასა სწვდებოდა
შავი ურდონი იყვნენ ძრწოლაში,
ოდეს წითლების დაკვრა ხვდებოდა.

თეთრგვარდიელთა გრძელი რიგები
მამაც დარტყმებით ირღვეოდა,
ძვირფას კომმუნით დანარიგები,
მზე უცნაურ სხივთ ცით იძლეოდა.

თავდადებულთ წინ დრკებოდა ყველა,
იძროდენ მთები,—კვნესდენ ველები;
პატარა ერთა მოჰქროდა შველა
ტყვის ზუზუნში, რკინის ხელებით.

დგებოდა ყველგან სისხლის რუები,—
ბევრს არ ეღირსა მიწა, საფლავი;
ისმოდა ხმები დამაყრუები
მშრომელთ შვებად და მტერთ გულ-საკლავი.

ფირუზ ეთერზე ისახებოდა
ჩაქუჩი—ჯვარედინად ნამგალზე;
და მომავალი იწაფებოდა
წმინდა სამსხვერპლოს ჩაუქრობ ალზე.

ახალგაზრდული ჰქიოდა სული,
ბორკილ ხამსხვრევი—თავისუფალი;
ამაყი ფრთებით მაღლა ასული
ლახავდა გზებსა ელვის უმალი!

თეთრთა გვამებზე მოჰქროდენ გმირნი
წითელ ხუთქიმა ვარსკვლავთ ციმციმით,
ომის ხმით მაღლა თავ—ანაღირნი
სიამეს ჰფენდენ შრომისა ჰიმნით.

ძველ ნანგრევებზე იწყო შენება
საბჭოთ ქვეყნების ნეტარი ფუძის;
სადარაჯოებს იცავს შვენება—
გაჰყურებს შორად—სად მტერი უზის.

რათა, ოდესაც დადგება ჟამი
იქაც დაიხსნას გლეხნი, მუშები;
და მზის სხივების წითელ წამწამით
გადაუკოცნოს მკრთალი ტუჩები.

ქვეყნის ხუთივე ნაწილს მოედოს
მსოფლიო კომუნისა მორბედი;
რათა კაპიტალს ბოლო მოუღოს —
რომ გამობრწყინდეს მაშვრალთა ბედი!

ამ გზაზე მავალს არ უჩანს დაღლა;
კვლავ წინ, თამამათ მიემართება;
ხუთი წელია მას შემდეგ, ახლა,
რაც ჯალათთ შიში, ო, ემართება.

ჩაგრული ერნი ამ ეკლიან გზას
თავისი გულით შვებად უშლიან;
ფეხთ ქვეშ უფენენ სიყვარულის ბზას
და უკვდავ მღერით ძეგლებს უთლიან.

და, დღეს, ო მოდის მძლეველი მარშით
ისმის ფეხთ მწყობრი ცემა: ტაფ! ტაფ! ტაფ!..
ამხანაგებო! ამ ცეცხლის ქარში
სმენაა! სალიუტი! თაფ! თაფ!! თაფ!!!

სანელი.

ქის მუშათა მოსახლეობა საკმაოდ ფასებდა მათ დაპირებებს და ურიდებოდა მათ უფლებას მხოლოდ იტომ რომ ობლად ჰგრძნობდა ვს.

ოვიდა თუ არა წითელი არმია ტანში, ბაქოს ნავთის სამრეის რაიონის მუშებმა იგრძნეს თავისი განთავისუფლების სიახლოვე, მით უფრო, რადგან მუსავატური მთავრობა ნაციონალურ ანგარიშებში იყო დაშნაკურ სომხებთან ჩაბმული.

უწევს რა ანგარიშს მტრულ განწყობილებას, ან და ასე ვსთქვათ აზერბაიჯანის დამოკიდებულების გაურკვევლობას, ფრონტის სარდლობას გადაჰყავს მე X-დან მე XI-ე არმიაში (პეტროვსკის რაიონში) 20, 28, და 38 მსროლელ დივიზიას, კურიშკოს კავალერიის დივიზიას და კასპის ფლოტს.

მაგრამ აზერბაიჯანის მუშებმა დაასწრეს შემთხვევებს. წამოუდგინეს რა მუსავატურ მთავრობას მთელი რიგი პოლიტიკურ მოთხოვნილებათა,, და ვერ დაინახეს რა დათმობები, იმათ ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში და 27 აპრილს გამოაცხადეს საბჭოთა ხელის უფლება და მოიწვიეს თავიანთ გამარჯვების შესანარჩუნებლად მე 11 არმია. 28 აპრილს, **4** საათზე წითელი ჯავშნოსნები „წითელი ასტრახანი", „წითელი დაღესტანელი", „გრიგოლ ელიანცევ" და „მესამე ინტერნაციონალი" ორი ქვეითი გუნდით, თითქმის ყოველგვარ წინააღმდეგობის გარეშე მუსავატისტების ჯარების მხრივან, შევიდენ ქალაქ ბაქოში, ხოლო მეორე დღეს, 29 აპრილს აქვე გაჩნდენ 28 და 32 მსროლელი დივიზიები.

ამით თავდება მე 11-ე არმიის რევოლიუციონური ბრძოლის საფეხური.

აზერბეიჯანის გასაბჭოებით წითელი არმია დაუახლოვდა აღმოსავლეთის დამონავებულ ერებს.

მაგრამ მე 11 არმიის გმირობა, მისი საომარი მუშაობა და რაინდული თავგანწირვა ცივსა და ჰშიერ ასტრახანის მინდვრებზე, ხოლო შემდეგ ჯოჯოხეთურ პირობებში კავკასიის მთაგრეხილის ფრთაზე, ცენტრთან სად კავშირს მოკლებული— აქაც ვერ ჰპოებს მშვიდობიანობას. ერთი მხრით მენშევიკური საქართველო და დაშნაკთა სომხეთი, მეტად მტრული თვალით უცქერდენ მას აზერბეიჯანში ჩამოსვლას, და თუ აშკარად არ იჩენდენ მტრულ განწყობილებას მის მიმართ, ყოველგვარ ზომებს ხმარობდენ მისი ავტორიტეტის დასაცემად, სადაც სცდილობდენ მოენათლათ ის მოძალადედ, მშრომელთა მასების ინტერესების შემლახველად; მეორე მხრით— მუდმივი დაცემები სპარსეთის მოსაზღვრების, მომთაბარეთა, იძულებულს ხდიდა, რათა საზღვარზე დიდი ძალა დაეყენებია მოსახლეობის მძარცველთაგან დასაცავად, და, ბოლოს,—მუსავატისტების სურვილი ძალაუფლების ხელში კვლავ ჩაგდებისა ჰქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომელიც ძალიან ცოტათი განირჩეოდა საომარი მდგომარეობიდან.

ადგილი ნებას არ მაძლევს დაწვრილებით გავჩერდე ამ საომარ მუშაობის დეტალებზე, რისთვისაც იძულებული ვხდებით დავკმაყოფილდეთ მისი უმთავრესი მომენტებით.

პირველად თავისი მტრული განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი გამოიჩინა დაშნაკთა სომხეთმა. თუმცა 11 აგვისტოს 1920 წლისა სომხეთს და რსფსრ შორის დადებულ იქნა მშვიდობიანი ხელშეკრულება, მაგრამ ის სუსტი გამ დგა. ოქტომბრის შუა რიცხვებში დაშნაკების მთავრობას, დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების გავლენით, გადმოჰყავს თავისი არმია შეტევაზე ზანგეზურის მიმართულებით, სადაც იდგა მე-11-ე არმიის ნაწილები. უკანასკნელნი გადადიან კონტრშეტევაზე, ხოლო 1-ლ დეკემბერს სომხეთის აჯანყებულმა მოსახლეობამ, ჰგრძნობდა და რა, რომ წითელი არმია მას საჩქაროდ გაუწოდებდა დახმარების ხელს, ჩამოაგდო დაშნაკთა მთავრობა, და მალევე მე-11-ე არმიის ნაწილებიც შევიდა სომხეთში.

ამხ. ორჯონიკიძე

ცალკე კავკასიის არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს წევრი.

სომხეთის მაგალითი ნებას აძლევს მენშევიკურ საქართველოს მოსახლეობის რამოდენიმე ნაწილებს თავი წამოჰყონ, სადაც მთავრობის პოლიტიკა მიმართული იყო ექსპლოატაციისა და ნაციონალურ უმცირესობის ჩაგვრისაკენ.

1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში სომეხ-მუსულმანთა და რუსი მოსახლეობა ახდენს რევოლიუციონურ აჯანყებას ბორჩალოსა და ლორის რაიონებში, იარაღს ჰყრის იქ მდგომ სახალხო გვარდიის ნაწილებს.

რევოლიუციონური ტალღა მიექანება ჩრდილოეთისაკენ. საქართველოს დედა ქალაქ ტფილისისაკენ— საქართველოს პროლეტარიატისა და გლეხობის განსათავისუფლებლად მენშევიკურ ბატონობისაგან და ძალაუფლების მშრომელთა კლასსზე გადასაცემად.

ჰგრძნობდენ რა ამოცანის სიძნელეს გარედან დაუხმარებლად, აჯანყებულებმა მოიწვიეს მე-11-ე არმია, რომელიც გადადის შეტევაზე სამი მიმართულებით: 1) შარაგზით წითელ ხიდზე—ტფილისისაკენ, 2) რკინის გზის გასწვრივ და 3) ზაქათალიდან სიღნაღისა და მცხეთისაკენ. პირველ ორ მიმართულებით გადადის მე-9-ე (ამჟამად 1-ლი კავკასიის) და მე-20-ე (ამჟ. მე-3-ე კავკასიის) მსროლელი დივიზიები, მესამე მიმართულებით—მე-18-ე კავალერიის დივიზია (ეხლა კავკასიის ცალკე კავალერიის ბრიგადა). პირველი ორი ჯგუფისათვის მიმართულება მენშევიკურ საქართველოს ცენტრ—ტფილისისაკენ შედარებით მოკლე იყო, ვინემ მესამე ჯგუფისათვის, რიტომაც აქ გაჩაღდა პირველად საომარი მოქმედება, რადგანაც წითელი არმიის სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა ერთი დაკვრით გაეთავებია საქმე მენშევიკურ ჯარებთან.

მართლაც მდ. მტკვრის ორივე ნაპირებიდან შეტევა ბრწყინვალედ მ დიოდა, და მესამე დღეს, 18 თებერვალს, არმიის ნაწილები ჯავშნოსნებით მიადგნენ სადგურ სოღანლუღს, ხოლო მარჯვენა ფრთით დაკავებულ იქნა კოდა და წ იწიეს კუმისისაკენ, სადაც მენშევიკების რეგულიარული ჯარისა და სახალხო გვარდიის წინააღმდეგობა უმნიშვნელო იყო. მაგრამ მენშევიკურმა სარდლობამ შესძლო ერთგვარ სამხედრო ძალთა დაგროვება და გამაგრდა კოჯრის მაღლობებზე, სადაც ისარგებლეს წინასწარ გამაგრებულ ადგილებით და პოზიციის ბუნებრივ სიმაგრეებით.

არმიის ნაწილების წინსვლა შემდეგ დღეებში, მიუხედავად მათ მიერ გამოჩენილ ძლიერებისა, უშედეგო იყო. მოგვიხდა მოგვეხდინა ნაწილების გადაჯგუფება მარცხენა ფრთაზე—კოჯრის მიმართულებით. სანამ ეს გადაჯგუფება მიდიოდა, მე-18-ე კავალერიის დივიზია, რომელიც მოდიოდა სიღნაღის მიმართულებით, დაუახლოვდა ტფილისს, და კოჯორთან დანარჩენი ნაწილების ბრძოლის დროს, მისი ნაწილები გაჩნდენ სადგურ ავჭალის რაიონებში.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა, ტფილისის მუშების ძალდატანებით, იძულებული გახდა დაეტოვებია ტფილისი, და 26 თებერვალს მე-11 არმიის ნაწილები შევიდენ ქალაქში, სადაც მოსახლეობა აღფრთოვანებით მიეგება.

მენშევიკების სრულიად გასადევნათ ოპერაცია დანიშნული იქნა ორი მთავარი მიმართულებით: 1) სურამის უღელტეხილით ქუთაისზე და შემდეგ ბათუმისაკენ და 2) კოჯორის გადასავალიდან ბათუმისაკენ.

იმავე დროს ჩრდილოეთ კავკასიის და დარგ-კოხის რაიონის მხრიდან ოსეთის-სამხედრო გზით ონიდან ქუთაისისაკენ გამოემართა მე-3[illegible] დივიზიის 99 ბრიგადა. ამ ბრიგადას დიდი გაჭირვება დაატყდა თავს, რადგანაც ის ორგანიზაციის პროცესში იმყოფებოდა ამ დროს; თითქმის არც ერთი „ობოზი" და არც აუცილებელი სამხედრო მოწყობილება მას არ ჰქონია, გზა კი მამისონის უღელტეხილისაკენ მეტად მძიმე იყო, რადგანაც ამ დროს ჩამოწოლილი იყო თოვლის საშინელი ზვავები. მაგრამ ძლეულ იქნა ყოველგვარი დაბრკოლება ბრიგადის მიერ, ხიშტით და ნიჩბებით იკვლევდა ის გზას, და დაღლილი, მშიერი და დაგლეჯილი აღწევს ქუთაისს, სადაც მოსახლეობა ზეიმით ხვდება მას, რომელიც მათი სახით ულოცავდა არა მარტო წითელ არმიას, როგორც დიადი იდეების მატარებელს, არამედ არმიასაც, რომელმაც შესძლო ეძლივნა არა მარტო ცოცხალი ძალა, არამედ მრისხანე ბუნებაც.

განა მართლაც ეს არ არის სულის სიდიადე წითელი არმიისა, რომელთაც თავისი ამოცანების შესრულების დროს ვერ აჩერებდა ვერც უსაზღვრო სივრცეები, ვერც გაგიჟებული მდინარეები, და ვერც მიუდგომელი მთები.

შუა რაზმი (მე-9-ე დივიზია და მე-98-მე ბრიგადა 32 მსროლელ დივიზიისა) ქუთაისს მოვიდა უფრო დაგვიანებით, რადგანაც შეჩერებულ იქნა მენშევიკური ჯარების მიერ, რომლებმაც უკანასკნელი წინააღმდეგობა გაუწიეს სურამის უღელტეხილზე.

ეს უღელტეხილი წარმოადგენდა დიდ ბუნებრივ სიმაგრეს, მაგრამ ორი დღის ბრძოლის შემდეგ აღებულ იქნა ჩრდილოეთის მხრით შემოვლით, და ამის შემდეგ ამ რაზმს არ შეხვედრია წინ სერიოზული დაბრკოლება.

არც მარცხენა რაზმს, მე-18-ე კავალერიის დივიზიას შეხვედრი ვილი ამოცანა: მას მოუხდა წინ კოდორის მიმართულებით, რო ლიც არა ნაკლებ სიძნელეს წარ

წითელი ჰაეროპლანი.



ასცურა ძლევით ფირუზ ეთერში.
ჰაეროპლანმა წითელი ფერის,
შეჰკრა კამარა და ლამაზ რგოლით
დასერა ნისლი ნეტარი მღერით.

შევცქერით ჩვენსა სიამაყესა
თუ მტერთ ზარმცემად ვით იქნევს ფრთებსა,
მოტორის ომახ, შვების გუგუნით
დასთამაშებდა ბუმბერაზ მთებსა.

და პროპელერი მიაპობს ჰაერს—
ფრთებზედა შვენის ჩაქუჩ-ნამგალი!
მშრომელთა გულსა სიხარულსა ჰფენს
და მტრებს ედებათ ცეცხლისა ალი!



წითელმა ჯარმა, ერთის შეტევით
აფხიკა დაშნაკ და მუსავატი;
მიაყოლა მათ მენშევიკი და
აფრინა სამივე ფუქსავატი.

და კავკასიის მშრომელი ხალხი
ანთავისუფლა ფოლადის მკლავით
ეხლა სდარაჯობს მათ ჩაქუჩ-ნამგალს
თოფ-ანალირი, წითელ ვარსკვლავით.

ჯგენდა, ვინც მამისონის უღელტეხილი.

ამ რაზმმაც ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა, მოულოდნელად გაჩნდა ბათუმის რაიონში, რომელიც დაკავებული იყო ამ დროს ოსმალეთის ჯარების მიერ; ოსმალებმა მოლაპარაკების შემდეგ დასტოვეს ბათუმი და გადასცეს წითელ არმიას, როგორც მეგობარს ოსმალეთის სახალხო არმიისას.

ამ რიგად საბჭოთა ძალაუფლება გავრცელებულ იქნა მთელ ამიერ-კავკასიაში, და მე-11-ე არმია, როგორც ავანგარდი მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობისა, ყოველთვის უწოდებდა დამხმარე ხელს დაჩაგრულ კლასს და იდგა მათი ინტერესების სადარაჯოზე.

ვაფასებთ რა არმიის საომარ მოქმედებას, საჭიროა ხელ-ახლად აღვნიშნოთ ის განსაკუთრებული მძიმე პირობები, რომლებშიაც მას უხდებოდა მუშაობა თავიდან ბოლომდე. ყოველი ცალკე ოპერაცია ღირსია ისტორიკოს—მკვლევარის აღწერისა. ეს ფართე და ღრმა გეგმები თავგანწირული ბრძოლით მოდიოდა სისრულეში ჯარების მიერ.

ვერც უწყალო და „მშიერმა“ ველებმა, ვერც მიუვალ მთებმა თოვლიან უღელტეხილებით, ვერც დაღლილობამ, ვერც ავადმყოფობამ (ხოლო ეს კი განსაკუთრებით სახადი და მალარია მუდამ დიდ დანაკლისს გვაძლევდა, ვინემ საომარი მოქმედება) ვერ დაახევია მას ერთი ნაბიჯითაც უკან ერთხელ დასახულ ზნისაგან.

გათავდა თუ არა საომარი მოქმე[illegible] კავკასიაში, გათავდა ის სხვა რევოლიუციონურ ფრონტებზედაც, რის გამოც საბჭოთა რესპუბლიკებს ნება მიეცათ შესდგომოდათ თავის ძირითად ამოცანას—მშვიდობიან აღმშენებლობას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ამოცანა იყო წითელი არმიის შემცირება, რაიც არ შეიძლებოდა რომ არ შეხებოდა მე-11-ე არმიასაც.

მაისის თვეში იხსნება კავკასიის ფრონტი, და მე-11-ე არმიას ერქმევა სახელად კავკასიის ცალკე არმია, რომელიც რჩება 1-ლის მემკვიდრედ იმ ამოცანების ასრულებაში, რომელიც დასახული ჰქონდა მუშურ-გლეხურ მთავრობას, და ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების არმიებთან ერთად იცავენ მშრომელთა ინტერესებს.

გავიდა ორი წელი, რაც სიწყნარე ჩამოვარდა, და ამ ორმა წელმა მოგვცა ჩვენ ბევრი რამ; ამ ორმა წელმა განამტკიცა ჩვენი ძლიერება, მოგვცა საშვალება რამოდენიმედ მოვეშუშებია იარები, განუწყვეტელ ბრძოლებში მიღებული და სისტემატიურად გაგვეტარებია ის პრინციპები, რომლებიც უნდა დასდებოდნენ საფუძვლად წესიერ ორგანიზაციას.

მართალია, ბევრი დაბრკოლების გადალახვა გვიხდება ჩვენი დარღვეული ეკონომიური მდგომარეობის, და მთელ რიგ სხვა და სხვა მიზეზთა გამო, რომლებიც საშვალებას არ გვაძლევენ სისტემატიურად ჩავატაროთ ჩვენი გეგმები.

მაგრამ მიუხედავად ამისა, გაკეთდა მაინც ბევრი, არმიის მატერიალური მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება და ჩვენ უკვე გვაქვს სრული შესაძლებლობა ვიფიქროთ, რომ მთელი წითელი არმიის არსებობის მე-6-ე წლის თავზე, კავკასიის განსაკუთრებული არმია, სავსებით მოიყვანს სისრულეში მთელ დასახულ გეგმებს, როგორც შინაურ ცხოვრების მოწყობის საქმეში, ისე გაწვრთნის მხრივაც.

ამ რიგად, მე 11-ე კავკასიის არმია, წარმოადგენს რა ერთ რგოლს ჩვენი დიდი წითელი არმიისას, სოციალურ რევოლიუციის და სამოქალაქო ომის ისტორიაში იჭერს ერთ ერთ თვალსაჩინო ადგილთაგანს.

მოვიდა რა ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხებზე დასახმარებლად მჩაგვრელთა საწინააღმდეგოდ ბრძოლაში, მან თავისი სისხლით აღბეჭდა ხსოვნა ბრწყინვალე მებრძოლთა დიადი საქმისათვის.

ამ ჟამად დიდი უმეტესობა იმ მეომართა, რომლებიც მონაწილეობდნენ აქ აღწერილ საქმეებში, გავიდა არმიის რიგებიდან, მათ ადგილზე მოვიდა ახილი, ცოცხალი ძალები, რომლებმაც გამოსცვალეს მოქანცული გმირები.

დეე, მეთერთმეტე, ამ ჟამად კავკ. ცალკე არმიის რევოლიუციონური ბრძოლის ისტორიის სტრიქონები მაგალითად დარჩეს ახალ მეომრებისათვის [illegible] მშვიდობიან მუშაობაში.

ახალგაზრდა არწივები მტკიცე, ურდრეკ კედლებად აღიმართებიან ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე და იბრძოლებენ აგრეთვე კომუნიზმის იდეებისათვის, როგორც იბრძოდნენ მოხუცი—ვეტერანები.

ავტორის შენიშვნა: ისტორიული მასალების უქონლობამ ნება არ მოგვცა მოგვეყვანა უფრო დაწვრილებითი ანგარიშები ისტორიულ ეპიზოდებისა წითელი არმიის ცხოვრებიდან.

პუგაჩოვი.

ჩვენს ცხოვრებაში

ჰაეროპლანთან.

ყოფილი სამხედრო სობორის ეზო. მზე მთაწმინდას ეფარება.

საჰაერო ფლოტის კვირეულია.

თითქოს ჰაერით დაბლა ჩამოფრენილა არწივი დასასვენებლად—ამაყად სდგას ფრთებ-გაშლილი ჰაეროპლანი.

ხალხი ბუზებისევებ ეხვევა.

ყველა სინჯავს, მაგრამ ნაკლებად გაეგებათ მისი მოწყობილობა.

— ჰაი, დედასა რამდენს და უფრთხობს ელეთ-მელეთებს ესა!—ამბობს ერთი და უთითებს ამხანაგს ჰაეროპლანზე.

— არაფერი დარჩა ადამიანს დასაპყრობი, ეხლა კი ჰაერიც დაიპყრო და...

— ეს „კომსომოლისტები“ ღმერთს იქაც არ ასვენებენ! ე, ამ ეკლესიიდან გამოაძევეს, აღარსად ბინა აღარ მისცეს და ეხლა იქაც უნდათ რომ ააფეთქონ?

ისმის ხუმრობა ხალხში.

— ყველაფერში გავუსწრებით ბურჟუაზიულ ქვეყნებს, შევქმნით ძლევა-მოსილი წითელი ლაშქარი, ზღვებს უკვე სდარაჯობენ წითელი დრედნოუტები და ეხლა თუ ჰაერშიც ვაჯობეთ, გავაძლიერეთ საჰაერო ფლოტი—მაშინ კი მშვიდობით „ანტანტავ“.

ამაყად ამბობს ერთი წითელ-არმიელი.

— და მართლაც ვინ-ღა შეედრება კომუნის უძლიერეს სიმაგრეს შრომის უდიდეს რესპუბლიკას რომელსაც ამშვენებს შრომის სიმბოლო ჩაქუჩი და ნამგალი!

წით. არ.—ს.

საჰაერო ფლოტის კვირეული ესკადრილიაში.

საავიაციო ესკადრილიამ დიდის ზეიმით იდღესასწაულა 7 აგვისტოს საჰაერო ფლოტის დღესასწაული.

თუმცა ეს დღესასწაული უნდა ჩაგვეტარებინა 3 აგვისტოს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო არ მოხერხდა და ჩატარებულ იქმნა შვიდს.

დღის სამ საათზედ თავი შეიყარა მთელმა ესკადრილიამ. აგრეთვე ამ დღეს გვესტუმრენ დივიზიის უფროსი, ჩვენი შეფი და სხვა, მრავალი სტუმრები. ამ დღისთვის ჩვენმა შეფმა (სახელმწიფო ბანკმა) დიდი გულუხვობა გამოიჩინა, ნაწილის ყველა მოსამსახურეებს და წითელ-არმიელებს დაურიგდა სამსამი გირვანქა შაქარი, საპონი, ცხვირსახოცები და აგრეთვე გამართულ იქნა სადილი. სადილზე მრავალი სიტყვები წარმოსთქვეს. სადილის შემდეგ გუნდმა შეიყარა თავი და სამხკომმა ილაპარაკა დღის მნიშვნელობაზე და საერთოდ საჰაერო ფლოტის შესახებ.

სიტყვის გათავების შემდეგ წითელ-არმიელები დაიშალენ და დიდხანს მათი სასიამოვნო ჟრიამული და ტკბილი სიმღერა ატკბობდა მთელ არე მარეს.

ზ. წყნორელი.

სალამი 1-ლი ლეგიონის წითელ მებრძოლებს და მათ ხელმძღვანელთ.

მე არ შემიძლია არ მოვიგონო და არ მიუძღვნა გულწრფელი სალამი იუბილიარს 1-ლი ლეგიონის წითელ მებრძოლებს და მათ ხელმძღვანელთ, როგორც მისმა წევრმა და ყოფილ წითელ არმიელმა, 1921 წელში.

მე მახსოვს თუ როგორ პირობებში უხდებოდა ჩამოყალიბება და რიგების განმტკიცება თავის არსებობის პირველ ხანაში.

საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე რომლის პირველი ხელმძღვანელი იყო ამხ. ი. ბრეგაძე რუსეთში სამოქალაქო ომებში გამობრძმედილი და ენერგით ალსავსე რომელსაც წითელ არმიელები უყურებდენ ისე როგორც მამას თავისი შვილები, და მის სიყვარულით და პატივისცემით იტანდენ ყოველ გვარ გაჭირვებას რომელიც იყო შექმნილი მდგომარეობით. პირველი ლეგიონი შესდგა მენშევიკური მთავრობის ჯარის დაშლის შემდეგ. მან პირველმან შემოიტანა ტბილისში წითელი დროშა და იმ დროშა რომელიც მან შემოიტანა მტკიცეთ და შეურყევლად ატარებს მას და ეხლა კი დღესასწაულობს თავისი ორი წლის არსებობას. სალამი იუბილიარს წითელ მებრძოლებს და მათ წითელ ხელმძღვანელთ.

დ. პოლიტხელი ბურჯულაძე.

საკავშირო ასეულში.

შესდგა სასწრაფო სხდომა კომუჯრედის, რომელმაც დაადგინა სწრაფად [illegible] წითელ არმიელთა დახმარებისთვის [illegible] მიიღოს ყოველივე ზომები: კომუჯრედმა აღძრა შუამდგომლობა სამხედრო კომისართან რათა შეფის ფულიდგან იქმნეს გადადებული თანხა: რაიც იქმნა დაკმაყოფილებული და რედაქციას გაეგზავნა 60 მილიონი მან.

ამავე მიზნით ს. წყნეთში გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნა ასეულის დრამწრის მიერ, მაგრამ ამინდმა ხელი შეუშალა და შემოსავალი ძლიერ ცოტა იყო.

25 ივნის მოეწყო ს. წყნეთში შეერთებული კრება ასეულის და ადგილობრივ კომუნისტების, სადაც გააკეთეს [illegible] მოხსენებები ამხანაგებმა.

[illegible]ცი.

ახალი ამბები

ინვალიდების ცენტრალური კომიტეტი.

სახ. სოც. დაზღვევის კომიტეტის ინიციატივით ტფილისში შესდგა ინვალიდების ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს საკონტროლო ადმინისტრაციული ფუნქციები.

ახლო ნათესავების ერთ დაწესებულებაში სამსახურის აკრძალვა.

შრ. სახ. კომისარიატმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი ნათესავების (ცოლ-ქმრის, მამის და შვილის და დების და ძმების) ერთ დაწესებულებაში სამსახურის აკრძალვის შესახებ.

პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე გამონაკლისი შემთხვევა, რომელიც დაშვებულ უნდა იქნეს მხოლოდ შრ. სახ. კომისარიატის დასტურით.

დახმარება წითელ საჰაერო ფლოტს.

ამხ. ლენინის სახელობის ტყავის 1-ლი ქარხნის მუშებმა დაადგინეს საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ გადასდონ ერთი დღის ხელფასი და იმუშაონ ერთ კვირა დღეს.

ელექტროფიკაციისათვის.

ქუთაისის [illegible] გადასცა ზემო ავჭალის [illegible] მოსაწყობად, დროებით სასარგებლოდ 2 ორთქლმავალი, 4 ვესსატი რელსი და 20 ვაგონი.

15 აგვისტო უქმე დღეა.

შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით ორშაბათი 15 აგვისტო ღვთისმშობლობის მაგივრად გამოცხადებულ [illegible] უქმე დღეთ.

პასუხისმგებელი რედაქტორი — ლ. ჩხნტლაძე.